


სამართალი

ISSN 0868-4537

2000

№ 8-9



მეცნიერება

ბუზლიცისტობა

პრაქტიკა

სამართალი, თბილისი



სამოქალაქო სამართალი, პროცესი

ეკა ზარნაძე

ფასიანი ქაღალდების კლასიფიკაცია

ფასიანი ქაღალდების კლასიფიკაცია სხვადასხვა ნიშნის მიხედვით შეიძლება. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი გამოყოფს ფასიანი ქაღალდების სამ ძირითად სახეს: საწარმდგენლოს, საორდეროს და პირად ფასიან ქაღალდებს. საწარმდგენლოა ისეთი ფასიანი ქაღალდი, რომლითაც მისი გამცემი დოკუმენტის მფლობელს გადახდას პირდება (მუხ. 911). საორდეროა „სავალო დოკუმენტი, რომლითაც ემიტენტი დოკუმენტის წარდგენისას გადახდას პირდება დასახელებულ პირს“ (მუხ. 922). ხოლო განსაზღვრული პირის სახელზე შედგენილი დოკუმენტი, რომელიც გაიცემა იმ პირობით, რომ მოვალეს დაეკისრება გადახდა მხოლოდ ამ პირის დოკუმენტის ჩაბარების სანაცვლოდ, არის პირადი, ფასიანი ქაღალდი (მუხ. 928). ფასიანი ქაღალდების ამგვარ კლასიფიკაციას საფუძვლად უდევს ფასიანი ქაღალდით უფლებამოსილი პირის ლეგიტიმაციის წესი. ერთი და იგივე ფასიანი ქაღალდი შეიძლება არსებობდეს როგორც საწარმდგენლო, ასევე საორდერო ან პირადი ფასიანი ქაღალდის სახით, მაგალითად, ჩეკი. ზოგიერთი კი მხოლოდ საწარმდგენლო ან პირადი ფასიანი ქაღალდის სახით, მაგალითად, აქცია, ობლიგაცია. თამასუქი კი, შეიძლება იყოს საორდერო ან პირადი ფასიანი ქაღალდი.

ზოგიერთი მეცნიერის აზრით, თუ ფასიანი ქაღალდების principum divisionis არის უფლებამოსილი პირის ლეგიტიმაციის წესი, მაშინ საწარმდგენლო, საორდერო და პირადი ფასიანი ქაღალდების გვერდით უნდა გამოვყოთ ფასიანი ქაღალდების მეოთხე სახეც – ჩვეულებრივი პირადი ფასიანი ქაღალდები (rectapapiere). ჩვეულებრივი პირადი ფასიანი ქაღალდით მოთხოვნის უფლება აქვს თავად დოკუმენტში აღნიშნულ პირს, ან პირს, რომელმაც ფასიანი ქაღალდი

მიიღო ცესიის გზით. პირადი ფასიანი ქაღალდით კი უფლებამოსილია პირი, რომელიც დასახელებულია როგორც დოკუმენტში, ისე მოვალის მიერ წარმოებულ რეესტრში და მისი გადაცემა ხდება არა ცესიის, არამედ ტრანსფერტის გზით.¹ ჩვეულებრივი პირადი ფასიანი ქაღალდების მიმართ არ მოქმედებს შესაგებლის შეზღუდვის პრინციპი: მოვალეს შეუძლია კრედიტორს წაუყენოს არა მარტო მათი უშუალო ურთიერთობიდან გამომდინარე მოთხოვნები, არამედ ისეთი მოთხოვნებიც, რომელიც გამომდინარეობს წინა მფლობელთან თავისი ურთიერთობიდან: მაგალითად, შესაგებელი იმის თაობაზე, რომ ფასიანი ქაღალდი გასცა მუქარის გამო და სხვა.²

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, გამოყოფს ფასიანი ქაღალდების სამ სახეს. საქართველოს კანონმდებლობა იცნობს პირადი ფასიანი ქაღალდის გადაცემას მესამე პირზე როგორც ცესიის, ისე ტრანსფერტის გზით. ჩეკის შესახებ კანონი აღგენს, რომ „კონკრეტულ პირზე გასანაღლებლად გამოწერილი ჩეკი „განკარგულების გარეშე“, ან სხვა თანაბარმნიშვნელოვანი დამოწმებით შეიძლება გაიცეს მხოლოდ ჩვეულებრივი ცესიის ფორმით.³ მეწარმეთა შესახებ კანონის მიხედვით,

¹ იხ. М. М. Агарков, Учение о ценных бумагах, М., 1927, ст. 26-33; Е. А. Крашениников, Ценные бумаги на предъявителя, Ярославль, 1995, ст. 23; Е. А. Крашениников, Обыкновенные именные ценные бумаги, «Хозяйство и право», 1996, №12, ст. 78-84; Rehfeldt B, Zöllner W. „Wertpapierrecht“. Ein Studienbuch, München, 1978, s. 10.

² იხ. Kurzkomentar Bürgerliches Gesetzbuch, Gesamtdredaktion Dr. O. Polandt, München, 1982, s. 768.

³ იხ. 1995 წლის 24 დეკემბრის კანონი „ჩეკის შესახებ“, მუხ. 10.

„აქციონერის საკუთრების უფლება აქციაზე დასტურდება სააქციო საზოგადოების აქციათა რეგისტრში ჩანაწერით“.⁴ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი პირადი ფასიანი ქაღალდის ცნების ქვეშ (მუხ. 928. პ. 1) ფაქტიურად აერთიანებს როგორც ე.წ. ჩვეულებრივ პირად, ისე პირად ფასიან ქაღალდებს, რაც ჩემი აზრით, სავსებით სწორია. სამოქალაქო კოდექსში მოცემული პირადი ფასიანი ქაღალდის გადაცემის წესიც მოიცავს როგორც ჩვეულებრივი პირადი ფასიანი ქაღალდების, ისე პირადი ფასიანი ქაღალდების გადაცემის წესსაც (მუხ. 928. პ. 2).

ფასიანი ქაღალდების დაყოფა საწარმდგენლო, საორდერო და პირად ფასიან ქაღალდებად, ძირითადად, დამახასიათებელია კონტინენტური ევროპის კანონმდებლობისათვის: შვეიცარია, გერმანია.⁵ გერმანიის სამოქალაქო სამართლის კოდექსი გამოყოფს საორდერო ფასიან ქაღალდებს (§783-792), საწარმდგენლო სავალო ვალდებულებებს, რომელიც ფაქტობრივად საწარმდგენლო ფასიანი ქაღალდებია (§793-808) და პირად დოკუმენტებს (§806), რომელიც პირადი ფასიანი ქაღალდია.⁶ ამ უკანასკნელის არსებობას გერმანულ სამართალში ადასტურებს სააქციო კანონიც, რომლის მიხედვითაც აქციონერად ითვლება მხოლოდ ის პირი, რომელიც ასეთად არის რეგისტრირებული აქციათა წიგნში (§67.2). აქციის ყოველი გადაცემა უნდა ეცნობოს საზოგადოებას: ინდოსირებული აქცია წარედგინება საზოგადოებას და გადაცემა დამოწმდება აქციათა წიგნში ჩანაწერით (§68).⁷

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი ითვალისწინებს ერთი სახის ფასიანი ქაღალდის გარდაქმნის შესაძლებლობას სხვა სახის ფასიან ქაღალდად: 916-ე მუხლის მიხედვით, ემიტენტს უფლება აქვს საწარმდგენლო ფასიანი ქაღალდი გადააფორმოს განსაზღვრული პირის სახელზე (ე.ი. გარდაქმ-

ნას პირად ან საორდერო დოკუმენტად, იმის მიხედვით, გააკეთებს იგი მითითებას „განკარგულები-სამებრ“, თუ „არაგანკარგულები-სამებრ“).

ცნობილია ფასიანი ქაღალდების სხვაგვარი კლასიფიკაციაც: საინვესტიციო, სავაჭრო და საქონელგანმკარგავი დოკუმენტები. ამგვარი კლასიფიკაციის საფუძველი ცალკეული ფასიანი ქაღალდების ეკონომიკური მიზანი უფროა, ვიდრე მათი იურიდიული ბუნება. ამგვარი კლასიფიკაცია უფრო მეტად ანგლო-ამერიკული სამართლისათვისაა დამახასიათებელი.⁸

საინვესტიციო ფასიანი ქაღალდის შემენით, კრედიტორი გადასცემს ემიტენტს გარკვეული ღირებულების აქციებს. ემიტენტი კი საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების გამოშვებით ახდენს სახსრების მობილიზაციას თავის პროფესიულ საქმიანობაში გამოყენების მიზნით. ემიტენტს შეუძლია კრედიტორისაგან დამოუკიდებლად განკარგოს მიღებული სახსრები და გადაუხადოს კრედიტორს, მიუხედავად იმისა, მიიღებს თუ არა იგი მოგებას (მაგ., ობლიგაცია); ანდა, მას შეუძლია კრედიტორთან ერთად მართოს მიღებული აქტივები და გადაუხადოს შესაბამისად, მიღებული მოგების მიხედვით (მაგ. აქცია).

ჩვეულებრივი საინვესტიციო ფასიანი ქაღალდი შეიძლება იყოს საწარმდგენლო ან პირადი. იგი უფრო მეტად ემისიის საგანია, აქედან გამომდინარე, კრედიტორს შემოსავალი შეუძლია მიიღოს არა მარტო უშუალოდ ემიტენტის მოგებიდან თითოეულ ფასიან ქაღალდზე გაანგარიშებით (პროცენტები, დივიდენდები), არამედ საფონდო გარიგებების საშუალებითაც (საკურსო სხვაობის მეშვეობით).

საინვესტიციო ფასიანი ქაღალდს, როგორც ემისიის საგანს, იცნობს საქართველოს კანონი ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ. იგი ფასიანი ქაღალდად განიხილავს საინვესტიციო ხელშეკრულებას, „რომლის მიხედვითაც ინვესტორი აძლევს სხვა პირს ფულს ან სხვა უფლებას საკუთრებაზე ეკონომიკურ საქმიანობაში დასაბანდებლად, შესაძლო შემოსავლის მიღების მიზნით“.⁹

⁴ იხ. 1994 წლის კანონი „მეწამეთა შესახებ“, მუხ. 51.

⁵ იხ. Ю. И. Святош, Ценные бумаги и оборотные документы, Гражданское и торговое право капиталистических государств, Часть I, М., 1983, ст. 225-231.

⁶ იხ. Германское право. Часть I. гражданское уложение, М., 1996, ст. 182-187.

⁷ იხ. Акционерное общество с ограниченной ответственностью. Сборник зарубежного законодательства. М. 1995. ст. 108-109.

⁸ იხ. Единый торговый кодекс. М. 1996.

⁹ იხ. 1998 წლის საქართველოს კანონი „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“, მუხ. 2, პ. 32, 34.

საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები თავისი შინაარსით გარკვეულწილად შეესაბამება ამერიკული სამართლისათვის ცნობილ „investment security“-ს. ეს უკანასკნელი არის პაი, მონაწილეობა ან სხვაგვარი ინტერესი ემიტენტის ქონებაში ან საწარმოში; ან ემიტენტის ვალდებულება, რომელიც გაიცემა საწარმდგენლო ან პირადი დოკუმენტის ფორმით (შეიძლება არსებობდეს არამატერიალური სახითაც). იგი არის დოკუმენტების რომელიმე კლასი ან სერია და ბრუნვაშია, როგორც ინვესტირების საშუალება.¹⁰

სავაჭრო ფასიანი ქაღალდებია საანგარიშსწორებო და საკრედიტო ფასიანი ქაღალდები. სავაჭრო ფასიანი ქაღალდები, ფაქტობრივად, ცვლიან ფულს ქონებრივ ურთიერთობაში: ჩეკი, მაგალითად, არის საანგარიშსწორებო საშუალება, თამასუქი — კრედიტის საშუალება.¹¹ სავაჭრო ფასიანი ქაღალდები შეიძლება იყოს საწარმდგენლო (ჩეკი), საორდერო (თამასუქი), ან პირადი (ჩეკი, თამასუქი). სავაჭრო ფასიანი ქაღალდები ახლოს დგანან ამერიკულ „negotiable instrument“-თან. ერთგვაროვანი სავაჭრო კოდექსის მიხედვით, საბრუნავი დოკუმენტი ნიშნავს უპირობო ბრძანებას ან დაპირებას გარკვეული ფულადი თანხის გადახდის შესახებ პროცენტებით ან უამისოდ, ან დაპირებაში ან ბრძანებაში მითითებული დანარიცხებით. მბრუნავი დოკუმენტია, მაგ., note (ჰგავს მარტივ თამასუქს), draft (გადასაპირებელი თამასუქი), cashiers check (საბანკო ჩეკი), traveler check (ტურისტული ჩეკი), teller's check (სალაროს ჩეკი) და სხვა.¹² საქონელგანმკარგავ ფასიან ქაღალდებს განეკუთვნება ისეთი დოკუმენტები, რომელთა გაცემით გადადის უფლება განსაზღვრულ საქონელზე (მხოლოდ არა ფულზე), ისე, რომ ეს უკანასკნელი შეიძლება მესამე პირის მფლობელობაში იყოს. საქონელგანმკარგავი ფასიანი ქაღალდია, მაგალითად, სასაწყობო მოწმობა. ჩვეულებრივ საქონელგანმკარგავი დოკუმენტი საორდერო ან პირადი ფასიანი ქაღალდია. თუმ-

ცა იგი შეიძლება საწარმდგენლო ფასიანი ქაღალდის სახითაც არსებობდეს. აშშ-ის ერთგვაროვანი სავაჭრო კოდექსის მიხედვით, კონოსამენტი, სასაწყობო მოწმობა და სხვა საქონელგანმკარგავი დოკუმენტები საბრუნავი დოკუმენტებია, თუ მათში გათვალისწინებული პირობის შესაბამისად საქონელი უნდა გადაეცეს დოკუმენტის წარმომდგენს, ან უნდა გაიცეს დასახელებული პირის განკარგულებისამებრ. კონკრეტულ პირზე გამოწერილი დოკუმენტი საბრუნავი დოკუმენტია მხოლოდ მაშინ, როცა იგი ასეთადაა აღიარებული საზღვაო ვაჭრობაში.¹³

ზოგიერთი მეცნიერი გამოყოფს საინვესტიციო, კომერციულ და სახელმწიფო ფასიან ქაღალდებს: პირველი ორი სახის ფასიანი ქაღალდების ნიშნები ემთხვევა ზემოთ აღნიშნულ საინვესტიციო და სავაჭრო ფასიანი ქაღალდების ნიშნებს, იმ განსხვავებით, რომ კომერციულ ფასიან ქაღალდებში გაერთიანებულია საქონელგანმკარგავი დოკუმენტებიც (კონოსამენტი), მესამე ჯგუფში კი გაერთიანებულია ფასიანი ქაღალდები, რომლის ემიტენტიც სახელმწიფოა: ობლიგაციები, სახელმწიფო სახაზინო ვალდებულებები და სხვა.¹⁴ ფასიანი ქაღალდების ამგვარი კლასიფიკაცია, ჩემი აზრით, მოკლებულია როგორც იურიდიულ, ისე ეკონომიკურ საფუძველს. ფასიანი ქაღალდები, იმის მიხედვით, თუ ვინ არის მოვალე, შეიძლება დაყვით სახელმწიფო ფასიან ქაღალდებად (მაგალითად, ობლიგაცია), იურიდიულ (მაგალითად, ობლიგაცია, აქცია) და ფიზიკურ პირთა (მაგალითად, თამასუქი, ჩეკი) ფასიან ქაღალდებად. კანონი ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ სახელმწიფოს მიერ გამოშვებულ ფასიან ქაღალდებს სამთავრობო ფასიან ქაღალდებს უწოდებს.¹⁵

განასხვავებენ სამისიო ფასიან ქაღალდებს და ფასიან ქაღალდებს, რომელიც გაიცემა მოვალის მიერ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში. სამისიო ფასიანი ქაღალდების განთავსება ხდება კლასების მიხედვით, ერთი და იმავე კლასის ფასიანი ქაღალდები ადასტურებენ იდენტურ უფლებებს

¹⁰ იხ. Единый торговый кодекс, М., статья 8-102; Hazen T. The Law of Securities Regulation, 1990, p.23-27.

¹¹ ზოგიერთი ამერიკელი მეცნიერი ჩეკს, ისევე როგორც თამასუქს, განიხილავს როგორც კრედიტის საშუალებას. იხ. H. R. Corley. Fundamentals of Business Law. p. 222, 223.

¹² იხ. Единый торговый кодекс, М., статья 3-104.

¹³ იქვე, მუხლი 7-104.

¹⁴ იხ. Майфат, Ценные бумаги, «Государство и право», №1, 1997, стр. 88-91.

¹⁵ იხ. საქართველოს კანონი „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“, მუხ. 2, პ. 28.

და ითვალისწინებენ ამ უფლების განხორციელების ერთსა და იმავე პირობებს (მაგალითად, ვადები).¹⁶ საემისიო ფასიანი ქაღალდი ჩვეულებრივ ან საწარმდგენლო ან პირადი (აქცია, ობლიგაცია) ფასიანი ქაღალდია. ხოლო ფასიანი ქაღალდები, რომელიც ცალკე გაიცემა მოვალის მიერ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, შეიძლება იყოს, როგორც საწარმდგენლო (მაგალითად, საშემნახველო წიგნაკი), ისე – საორდერო (მაგალითად, თამასუქი) ან პირადი (მაგალითად, ჩეკი).

შეიძლება გამოვყოთ ფასიანი ქაღალდები, რომლითაც შესრულების მიღება ხდება ერთჯერადად და შესრულების მიღებისთანავე დოკუმენტი გადაეცემა მოვალეს. მაგალითად, თამასუქი და – ფასიანი ქაღალდები, რომლითაც შესრულების მიღება ატარებს არაერთჯერად ხასიათს, მაგალითად, აქციის მფლობელი დებულობს დივიდენდებს დადგენილ დროს განსაზღვრული ოდენობით.

1998 წლის საქართველოს კანონმა ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ შემოიღო „არამატერიალიზებული ფასიანი ქაღალდი“ და ფასიანი ქაღალდები დაყო მატერიალურ (რომელიც არსებობს ქაღალდის ფორმით) და არამატერიალურ ფასიან ქაღალდებად. აღნიშნული კანონის მიხედვით, „არამატერიალური ფასიანი ქაღალდი“ არის „ფასიანი ქაღალდი, რომელიც არ არსებობს ქაღალდის ფორმით, მაგრამ არსებობს ჩანაწერის სახით ფასიანი ქაღალდების რეესტრში ან ცენტრალურ დეპოზიტარში ბენეფიციარი მესაკუთრის ან ნომინალური მფლობელის სახელზე“. დეპოზიტარი არის პირი, რომელიც ნომინალური მფლობელის დავალებით უზრუნველყოფს ფასიანი ქაღალდების ცენტრალურ კლირინგს და ანგარიშსწორებას, ამოწმებს, იცავენ თუ არა ბაზრის მონაწილენი ფასიანი ქაღალდების აღრიცხვის ინსტრუქციებსა და წესებს და

სხვა. ბენეფიციარი მესაკუთრედ ითვლება პირი, რომელიც რეგისტრირებულია როგორც ფასიანი ქაღალდების მესაკუთრე, ან პირი, რომელიც წერილობითი შეთანხმების საფუძველზე ნომინალურ მფლობელს აძლევს უფლებას იმოქმედოს მისი სახელით, ბენეფიციარი მესაკუთრე ასევე პირი, რომელსაც აქვს ფასიანი ქაღალდებთან დაკავშირებული ხმის განკარგვის უფლება, ნომინალური მფლობელი კი შეიძლება იყოს იურიდიული პირი, რომელიც არის ფასიანი ქაღალდების ბაზრის შუამავალი, ბანკი ან ცენტრალური დეპოზიტარი და რომელსაც ბენეფიციარი მესაკუთრე წერილობითი ხელშეკრულებით ანიჭებს უფლებას ფასიანი ქაღალდები თავის სახელზე შეიტანოს რეესტრში და ჩაებას ამ ფასიან ქაღალდებთან დაკავშირებულ სხვა ოპერაციებში ბენეფიციარი მესაკუთრის ან სხვა ნომინალური მფლობელის სახელით.¹⁷

ვფიქრობთ, უფრო სწორია ცნება „არამატერიალური“ და არა „არამატერიალიზებული“. სამოქალაქო კოდექსიც იყენებს ცნებას „არამატერიალური“, მაგალითად, მუხ. 7, 152. არამატერიალური ფასიანი ქაღალდი, ფაქტობრივად, არის ჩანაწერი უფლების შესახებ. ჩანაწერი შეიძლება შესრულდეს ქაღალდზე, ელექტრონული საშუალებით, მხოლოდ ისე, რომ რეგისტრატორმა ნებისმიერ დროს შეძლოს რეესტრიდან ამონაწერის გაკეთება.¹⁸ ფასიანი ქაღალდების კლასიკური თეორია, ერთადერთ ფასიან ქაღალდად, რომლის წარმოდგენაც ყოველთვის აუცილებელი არ არის შესრულების მისაღებად, მიიჩნევა სახელობით აქციას (პირად ფასიან ქაღალდს)¹⁹. სწორედ სახელობით აქციას განიხილავენ არამატერიალური ფასიანი ქაღალდების თეორიის საწყისად. კანონმდებლობიდან გამომდინარე, არამატერიალური სახით შეიძლება მხოლოდ პირადი ფასიანი ქაღალდი არსებობდეს.

მკბ ზარნაძე,

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის ასპირანტი.

¹⁶ იხ. Л. Н. Павлова, Корпоративные ценные бумаги, М., 1998, стр. 6-11.

¹⁷ იხ. 1998 წლის „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ კანონი, მუხ. 2, პ. 33, 50, 5, 43.

¹⁸ იხ. 1998 წლის აქციათა რეესტრის წარმოების შესახებ დროებითი დებულება, თავი III.

¹⁹ იხ. М. М. Агарков, Учение о ценных бумагах, М., 1927, ст. 62.